AfrikaBurn-ის ფუნდამენტალური პრინციპები

1. რადიკალური მიმღებლობა

AfrikaBurn-ში მონაწილეობის მიღება ყველასთვის შესაძლებელი უნდა იყოს. როგორც მიზან მიმართული საზოგადოება, რომელიც ემსახურება სამყაროს ახლიდან გამოგონებას, ჩვენ აქტიურად ვეძებთ მექანიზმებს ბალანსის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, მონაწილეობის ბარიერების დასაძლევად. ეს მიზანი ემსახურება წარსულში შექმნილ, მიმდინარე და სისტემურ უსამართლობას.

ჩვენ მივესალმებით და ვცემთ პატივს უცნობს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ეკუთვნოდეს.

*2019 წლის აპრილის დასაწყისში, Burning Man Project-ის გუნდთან კონსულტაციების შემდეგ და ჩვენი ორგანიზაციის სურვილის საპასუხოდ, ამ პრინციპის შინაარსი შეიცვალა და ამჟამად წარმოდგენილია ზემოთ მოცემული ტექსტით. ჩვენი განვიხილეთ და შევთანდით, რომ რადიკალური ჩართულობის პრინციპი (რომელიც თავდაპირველად 2004 წელს ჩამოაყალიბა ლარი ჰარვიმ (Larry Harvey)) ამ აღწერით უფრო შესაბამისობაში მოვდიდოდა Afrika Burn-ის კონტექსტთან.

ამ თემასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისა, მოლაპარაკების შინსარსის და ცვლილების დასაბუთების საფუძვლის გასაცნობად იხილეთ ჩვენი განცხადება "უახლეს სიახლეებში" და ჩართულობის გვერდზე (რომელიც ამავე განხადებაშია მითითებული).

2. უპირობო გაჩუქება

ჩვენ ვემსახურებით უპირობოდ გაცებას და გაჩუქებას. საჩუქარი არ ითვალისწინებს არანაირ პირობას, რაიმეს მის სანაცვლოდ მიღებას ანდაც თანაბარი ღირებულების რაიმეში მის გაცვლას.

3. დეკომოდიფიკაცია

საჩუქრების სულისკვეთების შესანარჩუნებლად, ჩვენი საზოგადოება ცდილობს შექმნას სოციალური გარემო, რომელიც არ არის კომერციული სპონსორობით, ტრანზაქციებით ან რეკლამებით მართული. ჩვენ მზად ვართ დავიცვათ ჩვენი კულტურა ასეთი ექსპლუატაციისგან. ჩვენ ვეწინააღმდეგებით მოხმარების ჩანაცვლებას მონაწილეობის გამოცდილებით.

4. რადიკალური პიროვნული თვითდამოუკიდებლობა

AfrikaBurn ხელს უწყობს ინდივიდს, და ახალისებს მას რომ აღმოაჩინოს, გამოიყენოს და დაეყრდნოს საკუთარ შინაგან რესურსებს.

5. რადიკალური ინდივიდუალური თვით გამოხატვა

ინდივიდის უნიკალურობა იბადება რადიკალური თვითგამოხატვის დროს. მისი შინაარსის განსაზღვრა მხოლოდ თავად ინდივიდს ან კონკრეტულ, ინდივიდუალურ ჯგუფს შეუძლია. იგი სხვებისთვის შეთავაზებულია როგორც საჩუქარი. ამ სულისკვეთებით, გამცემმა უნდა პატივი სცეს მიმღების უფლებებსა და თავისუფლებას.

6. ერთობლივი, საზოგადოებრივი ქმედება

ჩვენი საზოგადოება აფასებს შემოქმედებით თანამშრომლობასა და კოლაბორაციას. ჩვენი მიზანია შევქმნათ, გავავრცელოთ და დავიცვათ სოციალური ქსელები, საჯარო სივრცეები, ხელოვნების ნიმუშები და კომუნიკაციის მეთოდები, რომლებიც ამგვარ ურთიერთქმედებას უჭერენ მხარს.

7. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საზოგადოება და საზოგადოებრივი შემეცნება. საზოგადოების წევრებმა რომლებიც ღონისძიებების ორგანიზაციით არიან დაკავებული უნდა აიღონ პასუხლისმგებლობა საზოგადოების კეთილდღეობაზე და მონაწილეებს გააცნონ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობები. ასევე, მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ღონისძიებების ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებაზე.

8. ქმედება დატოვებული კვალის გარეშე

ჩვენი საზოგადოება პატივს სცემს გარემოს. ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით არ დავტოვოთ ჩვენი საქმიანობის შედეგად ფიზიკური კვალი. ჩვენ ვასუფთავებთ ჩვენს შემდეგ და ვცდილობთ, სადაც შესაძლებელია, ის ადგილები დავტოვოთ იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ვიდრე ისინი ვიპოვეთ.

9. მონაწილეობის ეთიკა

ჩვენი საზოგადოება ერთგულია რადიკალურად მონაწილეობის ეთიკისადმი. ჩვენ გვჯერა, რომ შენარჩუნებადი და საფუძვლიანი ცვლილება, როგორც ინდივიდში, ისე საზოგადოებაში, შესაძლებელია მხოლოდ პირადი მონაწილეობის გზით. ჩვენი არსებობა ქმედებაშია. ყველა დაპაჟებულია სამუშაოდ. ყველა დაპაჟებულია სათამაშოდ. ჩვენ სამყარო რეალობაში გულის კარის გამღები ქმედებებით მოგვყავს.

10. მყისიერება და დაუყოვნებლივობა

მომენტის მყისიერი გამოცდილება, ბევრ ასპექტში, ჩვენი კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ჩვენ ვცდილობთ დავძლიოთ ბარიერები, რომლებიც გვაშორებენ საკუთარი შინაგან მე-ს, გარშემომყოფთა მიერ აღქმულ რეალობას, საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებას და იმ ბუნებრივ სამყაროსთან შეხებას, რომელიც ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ვერცერთი იდეა ვერ ჩაანაცვლებს ამ გამოცდილებას.

11. თან ისწავლე, თან ასწავლე

როგორც საკუთარ თავზე დაყრდნობილი საზოგადოება, ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი კულტურის გავრცელების პასუხისმგებლობა თითოეულ ჩვენგანს ეკისრება. ჩვენ ყველანი ვართ ჩვენი კულტურის დამცველები – როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა, ვუზიარებთ ცოდნას ერთმანეთს.